**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №71

ქ. ბათუმი 20 ივლისი, 2018 წ.

**„ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების, ,,საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ,,ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის N34 დადგენილებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ, დადგენილების დანართით დამტკიცებული წესის:

**ა) მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი ამოღებული იქნეს;**

**ბ) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. ბსუ-ში წარმოდგენილი სწავლის მსურველის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია გადაეცემა ბსუ-ს იმ ფაკულტეტს, სადაც ხორციელდება მსურველის განცხადებაში აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა. ვაკანტური ადგილების არსებობის შეთხვევაში შესაბამისი ფაკულტეტი, ბსუ-ს უცხო ენების ცენტრის/ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ჩართულობით, უზრუნველყოფს ჩარიცხვის მსურველის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის ენის

ცოდნის დადგენას ბსუ-ში სწავლის მსურველთან გასაუბრების გზით, (გასაუბრების ვიდეოჩანაწერის საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობა განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით).

2. ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ თანხმობის გაცემისათვის (მათ შორის, როცა მსურველთა რაოდენობა აღემატება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ვაკანტური ადგილების რაოდენობას) შესაძლებელია **შესაბამისი ფაკულტეტის ინიციატივით ან/და რექტორის ბრძანებით** ბსუ-ში სწავლის მსურველი **მაგისტრანტობის კანდიდატისთვის** დაწესდეს შესაბამის პროგრამაზე მიღების წინაპირობა - გამოცდა სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ საგანში (სპეციალობაში).

3. ბსუ-ში სწავლის მსურველის წერილობითი მომართვის, შესაბამის ენაში გასაუბრების შედეგებისა და წინამდებარე წესის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ფაკულტეტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ამზადებს ბსუ-ს წერილობით თანხმობას ბსუ-ში სწავლის მსურველი პირის ჩარიცხვის (მიღების) შესაძლებლობის თაობაზე.

4. უნივერსიტეტის თანხმობის წერილში მიეთითება ბსუ-ში სწავლის მსურველის სახელი, გვარი, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, მასთან ჩატარებული გასაუბრების დრო და შედეგები. აღნიშნული წერილი ვიზირებული უნდა იქნეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ.

5. ბსუ-ს წერილობითი თანხმობა, წინამდებარე წესის მე-2 მუხლში აღნიშნულ დოკუმენტაციასთან ერთად, ბსუ-ში სწავლის მსურველის მიერ წარედგინება საჯარო სამართლის იურიდიულ პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს/საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.“

2. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.

3. წინამდებარე დადგენილებით განხორციელებული ცვლილებების აღსრულებისათვის ბსუ-ს რექტორის მიერ გამოიცეს შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

4. წინამდებარე დადგენილების ვებგვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**